საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2071/01
24/02/2020

2071-01-2-202002241649

შპს „კავა კომპანიას“
მის: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. N1 კორპ.
N4, სადარ. II, ბინა N35

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 27 იანვარს N1199 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. სავანაში შპს „კავა კომპანიას“ ფეთქებადი მასალების საწყობის (ფეთქებადი ნივთიერებების განადგურება) ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ რომ თქვენს მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ მოთხოვნებს. წარმოდეგნილ სკოპინგის განცხადებაში არ არის განხილული კონკრეტული საქმიანობის აღწერა და საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებები, ის ძირითადად მოიცავს „საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესების“, „სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების დანაკლისის ტექნიკური გამოკვლევისა და აღრიცხვის ინსტრუქციის“, „ფეთქებადი მასალების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეგისტრაციის ინსტრუქციის“ დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მაისის №95 დადგენილებიდან ამოღებულ ციტატებს. ამასთან, სკოპინგის ანგარიში შეიცავს რიგ ხარვეზებს, კერძოდ:

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. გაცნობებთ რომ საქართველოს კანონის „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი დანიშნულებით: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად; არასასოფლო-სამეურნეო კულტურების (კოინდარის, ყვავილების, ეთერზეთების საწარმოებელი მცენარეების, სამედიცინო მცენარეებისა და სხვა კულტურების) მოსაყვანად; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობისათვის (ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის, პირუტყვის გადასარეკი ტრასისა და მოსასვენებელი მოედნის, შიდასამეურნეო გზის და სხვა ფუნქციით); სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის ან/და სასწავლო საქმიანობისათვის; საკარმიდამოს ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად. ამ

მიწის ნაკვეთზე შეიძლება განთავსებული იყოს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო ნაგებობა ან/და დამხმარე ნაგებობა. ამასთან, ზემოაღნიშნული კანონის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია;

- სკოპინგის ანგარიშში ძირითადად განხილულია ფეთქებადი ნივთიერებების საწყობი და არა ფეთქებადი ნივთიერებების განადგურების ობიექტი, არ არის წარმოდგენილი ფეთქებადი ნივთიერებების განადგურების ობიექტის პარამეტრები (მაგ: ფართობი, სიგრძე, სიგანე და ა.შ.) აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ფეთქებადი ნივთიერებების განადგურების ობიექტის განთავსების ადგილის GPS კოორდინატები, Shp ფაილები და უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილი;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შპს „კავა კომპანიას“ ფეთქებადი ნივთიერებების საწყობში შეთავსებადობის ჯგუფების მიხედვით ინახება D ჯგუფის ფეთქებადი მასალები, მაგრამ დაზუსტებას საჭიროებს D ჯგუფის ფეთქებადი მასალებიდან კონკრეტულად რა სახეობის (რაოდენობის მითითებით) ფეთქებადი ნივთიერებები ინახება არსებულ საწყობში;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს საქმიანობის პროცესში წლის განმავლობაში მოსალოდნელია 2000 კგ საწარმოო ნარჩენის წარმოქმნა ფეთქებადი მასალების ნარჩენების სახით (რომელიც არ პასუხობს სტანდარტებსა და ტექნიკური პირობების მოთხოვნებს), რომელთა განადგურებაც მოხდება დაწვის მეთოდით. დაზუსტებას საჭიროებს კონკრეტულად რა ნივთიერებები წარმოიქმნება ნარჩენების სახით (რაოდენობის მითითებით);
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ფეთქებადი მასალების განადგურება მოხდება საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მაისის N95 დადგენილების (მუხლი 27) შესაბამისად, მხოლოდ დაწვის მეთოდით და წარმოდგენილია 27-ე მუხლის მოთხოვნები, აღნიშნული მოთხოვნები განხილული უნდა იყოს კონკრეტული საქმიანობის შესაბამისად.
- სკოპინგის ანგარიშში გარემოზე ზემოქმედება განხილულია ფეთქებადი მასალების საწყობისთვის და არა ფეთქებადი ნივთიერებების განადგურების ობიექტისთვის, ვინაიდან გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობა არის ფეთქებადი ნივთიერებების აღდგენა ან განადგურება და აღნიშნული პროექტით წარმოდგენილია, როგორც ფეთქებადი ნივთიერებების საწყობის, ასევე ფეთქებადი ნივთიერებების განადგურების ობიექტის ექსპლუატაცია, განახლებულ სკოპინგის ანგარიშში გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედება განხილული უნდა იყოს როგორც საწყობისთვის, ასევე განადგურების ობიექტისთვის;
- სკოპინგის ანგარიშში გაანგარიშებული არ არის ფეთქებადი მასალების დაწვით განადგურებისას „საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესების“, „სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების დანაკლისის ტექნიკური გამოკვლევისა და აღრიცხვის ინსტრუქციის“, „ფეთქებადი მასალების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეგისტრაციის ინსტრუქციის“ დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მაისის №95 დადგენილების მიხედვით განსაზღვრული უსაფრთხო მანძილი, რაც საჭიროებს დაზუსტებას.
- სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია რომელი ნივთიერებების და რა რაოდენობით გაფრქვევა მოხდება ატმოსფეროში, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისთვის, შემცირებისთვის ან/და შერბილებისთვის. აღნიშნული ღონისძიებები განხილული უნდა იყოს კონკრეტული (ზემოაღნიშნული) საქმიანობისთვის;

გაცნობებთ რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „კავა კომპანია“ უზრუნველყოფს განახლებული სკოპინგის დოკუმენტაციის წარმოდგენას, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე